

პროექტი №50

ტექნოლოგიური დანიშნულების ირიბი ქმედების ლამინალურ ნაკადიანი პლაზმატრონის დამუშავება და დამზადება

პროექტის ხელმძღვანელი - ზ. ბათხაძე

დაფინანსება – 14000 ლარი

ძირითადი შედეგები: დამუშავებული და დამზადებული იქნა მყარი საშენ მასალების ზედაპირების მოსადნობი, ჰაერზე მომუშავე ირიბი ქმედების პლაზმატრონის ანოდის ახალი შიდაკამერული გეომეტრია. რამაც პლაზმატრონის საქმენიდან პლაზმის მდორე-ლამინალურ რეჟიმში გამოდინების საშუალება მოგვცა. ნაკადის ლამინალობა უზრუნველყოფს არ მოხდეს მოდნობილი მასის მოცილება. იაფფასიანი საშენ მასალების პლაზმური დამუშავებით, ძირეულად იცვლება მათი ზედაპირის ფაქტურა, ხდებიან მინისებრი და იმდენად დეკორატიული, რომ თავისუფლად შეუძლიათ გაუწიონ კონკურენცია, შენობების მოპირკეთებით სამუშაოების დროს, ძვირადღირებულ ბუნებრივ მასალებს - გრანიტს, ტეშენიტს მარმარილოს და სხვა. ფოტოზე ნაჩვენებია საშენი მასალები მოდნობილი ზედაპირებით. ა)ბახალტი, ა)ანდეზიტი, ბ)ბეტონი, გ)წითელი აგური, დ)თეთრი აგური.

